ზემო იმერეთის რეგიონის რელიეფის როლი აგროკულტურების გავრცელებაში

დავით დალაქიშვილი

ელ. ფოსტა/E-mail: davit.dalaqishvili@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

ზემო იმერეთში სასოფლო სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი განიცდის ეროზიას, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს ადამიანი თავისი საქმიანობით(ფერდობის მიმართულებით ხნულების გაკეთებით, წყლის მიშვებით მორწყვით, გადამეტებული მორწყვით, მიწის სამაგრი ქვის ზღუდეების დანგრევით და დაზიანებული ზღუდეების არ აღდგენით). ამ გზით ყოველწლიურად უარესდება ნიადაგის ნაყოფიერება და მცირდება ნაყოფიერი მიწებისფართობები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ზემო იმერეთის რეგიონი, მიზანს კი ამ რეგიონში გავრცელებული აგროკულტურების სივრცითი გავრცელების განსაზღვრა და რუკაზე გამოსახვა. ასევე კვლევის მიზანში შედის ახალი_პერსპექტიული კულტურებისათვის ანალოგიური რუკის მომზადება.

ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულია კვლევის რამდენიმე მეთოდი. კვლევის კარტოგრაფიულ საფუძველს წარმოადგენს საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკა 1:50000 მასშტაბით.ArcGISპროგრამის დახმარებით განისაზღვრა საკვლევი ტერიტორიის ზუსტი ფართობი, ასევე განისაზღვრა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობები ექსპოზიციისა და დახრილობის გათვალისწინებით.

დღევანდელობის პირობებში ზემო იმერეთში არსებული რეალური სურათი ასეთია_რეგიონში სტრუქტურულად სასოფლო-სამეურნეო სექტორი წარმოადგენს მცირე დანაწევრების მქონე მიწის ნაკვეთებისაგანშემდგარ მთლიანობას, გლეხი კი რომლის განკარგულებაში 1 ჰამიწის ნაკვეთიც კი არაა, მოჰყავს სხვადასხვა აგროკულტურა და აწარმოებს მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას.